ფუნდამენტური იდეები ეკონომიკური თეორიისათვის
რეცენზია

მეცნიერების განვითარება განუწყვეტელი პროცესია, რაც ჭეშმარიტების მიგნებისა და რეალობის საიდუმლოებათა ახსნისათვის გაბედულ ძიებაში გამოვლინდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ცხოვრების სინამდვილის კარდინალურ მოვლენათა სწორად ახსნისათვის გაწეული კვლევა-ძიება. მეცნიერების პროგრესი, მისი ახალი ცოდნით შევსება, არსებული ცოდნის გაახლება, მოძველებული ცოდნის უკუგდების გზით მიმდინარეობს. ეს ეხება ეკონომიკურ თეორიასაც. საზოგადოების, ეკონომიკის განვითარების სფეროში ცვლილებები ინტენსიური ხასიათისაა. ამიტომ დგას აქტუალურად მათზე ცოდნის გაახლების საკითხი. ყოველგვარი მცდელობა ამ სფეროში სისხლხორცეულ დაინტერესებას, თავდადებულ შრომასა და სათანადო უნარს მოითხოვს. ცნობილია, რომ ამ მიმართულებით ეკონომისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი და პოეტი - პროფესორი გიორგი მალაშხია მრავალი წლის მანძილზე ეწვა მუშაობას, რამაც კიდეც მოგვცა შედეგი მისი მონოგრაფიების სახით, სადაც ახლებურადაა დაყენებული და განხილული ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების ფუძემდებლური საკითხები. ამჯერად მან მკითხველთა სამჯავროზე გამოიტანა ახალი წიგნი სახელწოდებით: „მცირე ეკონომოლოგია. ახალი პარადიგმები ეკონომიკური თეორიისათვის", რომელიც რუსულ ენაზე გამოსცა ცნობილმა ევროპულმა გამომცემლობამ Palmarium academic publishing–მა (გერმანია).

წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ მრავალი წლის მანძილზე გაწეული კვლევების, წინამორბედ მონოგრაფიათა იდეების შეჯამებას და განვითარებას. მასში წარმოდგენილია ეკონომიკური მეცნიერების თეორიის ფუდამენ-

ტური დოქტრინების ალტერნატიული შეხედულებები და მათი დასაბუთება. წიგნით ავტორს ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი ფუნდამენტური პარადიგმები შემოაქვს, რომლებიც მიმართულია არსებული შეხედულებების შეცვლისაკენ, როგორც სინამდვილის უფრო სწორად ახსნის პირობა.

გიორგი მალაშხია თვლის, რომ მეცნიერებაში სიახლეთა შემოღებისათვის, უფრო ჭეშმარიტი ცოდნის შემუშავებისათვის აუცილებელია კრიტიკულად, ეჭვის თვალით შევხედოთ არსებულ ცოდნას, როცა ამისი საფუძველი შეინიშნება. უნდა დადგეს კითხვა: ხომ არ დაძველდა ჩვენი ცოდნა, ხომ არ დადგა მისი შეცვლის დრო. როგორც ე. კანტი თვლიდა, ამ დროს არავითარ ავტორიტეტს არ უნდა მოვერიდოთ. ავტორიტეტები არც თუ იშვიათად უშლიან ხელს მეცნიერეულ წინსვლას, რადგან მათ მიმართ ნდობა და რიდი დიდია, ხოლო მათი დოგმად ქცეული შეხდულებები ხშირად აუცილებლად შესაცვლელია. ეს გასანკუთრების ეხება სოციალურ, ანუ საზოდადოებრივი ცხოვრების შემსწავლელ, მეცნიერებებს. ამ პათოსითაა გაჟღენთილი გიორგი მალაშხიას კვლევები.

ახალ წიგნში, ისევე როგორც ადრინდელ კაპიტალურ ნაშრომში „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია" ავტორი ახლის ძიებაშია. შედეგიანია მისი მცდელობა ახლებური მიდგომის საფუძველზე მეცნიერებაში შემოიტანოს სიახლენი, რაც თვით ნაშრომების დასახელებიდან იღებს სათავეს. აგრძელებს რა თავის ადრინდელ ძიებას თეორიის სფეროში, გიორგი მალაშხია მიდის დასკვნაამდე, რომ აუცილებელია ახლებურად შევხედოთ საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკის კარდინალურ საკითხებს და გავიაზროთ ისინი ახალი მიდგომით, მათი შინაარსის ადეკვატურად აღქმით. ამ მხრივ მისი კვლევა-ძიების საგანია ეკონომიკური თეორიის ისეთი ფუძემდებლური საკითხები, როგორიცაა სიმდიდრის შექმნა, განაწილება, გაცვლა და მოხმარება, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პერსპექტივა, არსებული სისტემის ბუნება და მისი შეცვლის აუცილებლობა, ახალი საზოგადოებისა და ეკონომიკის ძირითადი ნიშნები.

ავტორი უწინარესად განხლვის საგნად იღებს სიმდიდრის (დოვლათის) შექმნისა და განაწილების გარშემო არსებულ თეორიებს, სადავოდ მიიჩნევს ამ ფუნდამენტურ საკითხებზე არსებულ შეხედულებებს და ცდილობს მათი ალტერმატიული კონცეფციის დასაბუთებას. ავტორის აზრთ, ეს ეხება მარქსისტულ და კლასიკურ თუ ნეოკლასიკურ ეკონომიკურ დოქრტინებს. გიორგი მალაშხიას მიაჩნია, რომ კ. მარქსისა და მარქსისტების მიერ დოვლათის შექმნისა და განსაწილების პროცესის იდეოლოგიზებული ახსნა არ შეესაბამება სინამდვილეს. მარქსიზმი თვლის, რომ მთელი დოვლათი, მისი ზრდა მიეწერება მუშათა შრომას. ეს შრომა არის ე. წ. ზედმეტი ღირებულების (რომლის შესახებ სწავლება არის მარქსის მოძღვრების ქვაკუთხედი, როგორც მას უწოდებდა ვ. ლენინი), მოგების შემქმნელი, სიმდიდრის ზრდის ფაქტორი. შრომა ასევე საქონლის ღირებულების ფაქტორია. მაგრამ სინამდვილეში ერთი ფაქტორი, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც შრომაა, არაფერს არ ქმნის. დოვლათი და მისი ღირებულება შეიძლება წარმოიქმნეს მხოლოს წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით. მაშასადამე, მარქსის თეორია სცილდება სინამდვილეს.

როგორც ცნობილია, დასავლურმა კლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ გააფართოვა წარმოების პროცესში მონაწილე ფაქტორთა წრე, ჩამოაყალიბა წარმოების ფაქტორების თეორია, რომლის მიხედვით, დოვლათი იქმნება შრომის, კაპიტალის (წარმოების საშუალებათა) და ბუნების (მიწის) მონაწილეობით. ამათ შემდეგ დაემატა მეწარმობრივი უნარი და სახელმწიფოს როლი. ისინი კი ქმნიან დოვლათს, სიმდიდრეს, მაგრამ არაა ახსნილი ამ ფაქტორების როლის და წვლილის ხასიათი და ეკონომიკური შინაარსი. მაშასადამე, ეს თეორიაც ვერ გვაძლევს სათანადო სრულ წარმოდგენას დოვლათის, სიმდიდრის შექმნის პროცესზე.

განხილული ორივე მოძღვრება მიიჩნევს, რომ წარმოების (ეკონომიკის) მნიშვლენოვანია მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ორგანზაციის განვითარება, ცოდნა და ა.შ. მაგრამ არაა სათანადოდ ახსნილი, თუ რაში გამოიხატება ეს, რა მექანიზმი, ძალები და როგორ მონაწილეობს ამ პროცესში. განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორ, რა მექანიზმის მოქმედებით ხდება დანახარჯებზე მეტი შედეგის (წმინდა პროდუქტის) შექმნა, მოგების, დანაზოგების, ინვსტიციების, ეკონომიკური პროგრესის წყაროთა წარმოქმნა. ამ პროცესის არსებული ახსნა, ავტორის აზრით, ზედაპირულია. საჭიროა სიღრმისეული პროცესების დანახვა და სათანადო გაგება, რადგანაც ამაზეა დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ანატომია, ხასიათი, სოციალური შინაარსი, ცხოვრების წესი, მაშასადამე, მისი მეცნიერული, ობიექტური გაგება.

გიორგი მალაშხია ამ მოვლენათა ადეკვატური ახსნისათვის აუცილებლად მიიჩნევს

ბუნების ძალთა, საზოგადოების წინამორბედ თაობათ ცოდნის, გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, ადამიანთა ბუნებრივი უნარების დოვლათის შექმნაში მონაწილეობის ხასიათის გათვალისწინებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ამ რესურსების მთლიან ან ნაწილობრივ მუქთ (ფასგადაუხდელ) ხასიათს, რაც სრულიად ყურადღების მიღმაა დატოვებული. მას გვერდს უვლიან საერთოდ. იგი კი საფუძელჩამყრელი მომენტია დანახარჯზე მეტი დოვლათის (შემოსავლის) მიღების ადეკვატურად ახსნისთვის. სრულიად არაა საკმარისი ვაღიაროთ ბუნება წარმოების ფაქტორად. მისი გამოყენების ხასიათი, როლი, მექანიზმი, ეკონომიკური აზრი უნდა ავხსნათ და გავითვალისწინოთ. ასევე შეიძლება ითქვას წარსული თაობების მიერ გადმოცემული რესურსების მონაწილეობაზე მოქმედი თაობის მიერ დოვლათის შექმნის პროცესში, აღნიშნული რესურსების მუქთ თუ ნაწილობრივ მუქთ ხასიათზე, რაც საერთოდ უგულებელყოფილია. აღნიშნული თვალსარისი ეხება ადამნების ბუნებრივ უნარსაც(ნიჭსაც). აბა, ვინ რას ახდევინებს ეკონომიკურ სუბიექტებს და ვინ რას იხდის მზის, კლიმატის, მიწის წიაღის, ფლორის, ფაუნის რესურსებში, წინამორბედთა გამოგონებებში და აღმოჩენებში, გადმოცემულ ცოდნაში, დამიანთა ბუნებრივ ნიჭში? როგორ მონაწილეობს ყოველივე ეს წარმოების პროცესში, რა ეკონომიკურ შედეგს გვაძლევს ყოველივე ეს? ამის სასათანადოდ ახსნა არ გვაქვს. ამ თვალსაზრისით მუქთი და ნაწილობრივ მუქთი ფაქტორების როლი ყურადღების იქითაა. ამიტომაა ეკონომიკური ცოდნა არასაკმარისი, ხარვეზიანი. მაგრამ წარმოების პროცესში ერთ-ერთი მთავარი გადამწყვეტი პირობა, სწორედ ეს რესურსებია მეტი შედეგის მიღებისათვის, ვიდრე გაწეულია დანახარჯები. ამის გარეშე ხომ არავითარ წარმოებას აზრი არა აქვს, მისი განვითარება გამორიცხულია. აუცილებელია ამ გარემოების გაგება-გაცნობიერება და გათვალისწინება. ეკონომიკური თეორია კი მას ვერ ამჩნევს. მაშასადამე, სწორი ცოდნა არა გვაქვს ამ მოვლენებზე, თუმცა მთელი სინამდვილის ღრმა ფესვები კი მასზეა დამყარებული. ასეთია ავტორის ხედვა.

გიორგი მალაშხიას სწორედ ამ ფუძემდებლურ მოვლენათა მართებული გაგებისათვის შემოაქვს სოციალური ენერგიის, მუქთი ფაქტორების (რესურსების), დამატებული (დანახარჯზე მეტი) პროდუქტის ცნებები, რომლებიც მას შესაძლებლობას უქმნის ნათლად ახსნას წარმოების შედეგად მეტი დოვლათის შექმნა, ვიდრე იხარჯება რესურსები, ახლებურად გაიაზროს ეკონომიკური ზრდა, სიმდიდრის წარმოქმნა და გადიდება. ამ კონცეფციის მიხედვით, სწორედ სრულად ან ნაწილობრივ მუქთი (ფასგადაუხდელი) რესურსების მონაწილეობით იწარმოება დანახარჯებზე მეტი პროდუქტი. მარქსის ზედმეტი ღირებულებისა და მოგების, რენტის თეორია, ასევე კლასიკური ეკონომიკური თეორიის შეხედულება, რომელიც ყურადღების მიღმა ტოვებს რესურსების დიდი ნაწილის არნიშნულ ხასიათს, ამ გარემოების როლსა და ეკონომიკურ შინაარსს სიმდიდრის (დოვლათის) შექმნის პროცესში, გაქარწყლებულია. ფაქტობრივად გვაქვს ახალი თეორიული პარადიგმა. ავტორის მისაღებად თვლის მოგების გაფართოებულ გაგებას. იგი წარმოდგენილია არა მხოლოდ არამედ ყველა ეკონომკური სუბიექტის საქმიანობის წმინდა (გაწეულ დანახარჯზე ზედმეტ) შემოსავლად, როგორც მოგებად პრაქტიკაში თვლიან თუნდაც თვითდასაქმებული ჯიხურის გამყიდველი, გლეხი, ხელოსანი, ექიმი, ვექილი თუ სხვა (სოციალისტურ საწარმოს წმინდა შემოსავალიც მოგებად განილხილებოდა).

ეს თვალსაზრისი ავტორის ახალი გაგების საფუძველია დოვლათს (სიმდიდრის) განაწილების გარშემო მსჯელობისას , მისი სამართლიანობის, ობიექტურობის კუთხით. ეს უკანასკნელი კი კაცობრიობის დიდი თავსატეხია. ავტორი აყალიბებს დოვლათის განაწილების კანონს და გვიჩვენებს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკაში მისი განხორციელების პროცესს, ასევე მიუთითბს წინა ეტაპების თავისებურებებზე. ეს კანონი მდგომარეობს წარმოების ფაქტორთა მფლობელების მიერ დოვლათის მითვისებაში მის შექმნაში პირადი წვლილის მიხედვით, ასევე დოვლათის გარკვეული ნაწილის გადაცემაში საზოგადოების მიერ დადგენილი წესის მიხედვით მათთვის, ვისაც არ შეუძლია მონაწილეობდეს წარმოების პროცესში. ამასთან, აღნიშნული კანონი არის იმისი აუცილებლობის გამოხატვა, რომ წარმოების ყველა მონაწილემ უნდა მიიღოს დოვლათის რაღაც რაოდენობა. ხოლო რაც შეეხება კანონის შესაბამისად წილის მიღებას დოვლათის შექმნაში წვლილის მიხედვით, იგი , როგორც ეს გვხვდება ეკონომიკური კანონების შემთხვევაში ბუნების კანონებისაგან განსხვავებით, ცივილიზაციის დასაბამიდან ამა თუ იმ ზომით გადახრილია სხვადასხვა მიზეზით. დოვლათის განაწილების თანამედროვე წესი უფრო უახლოვდება აღნიშნულ კანონს, ვიდრე ეს ადრე იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ სცილდე-

ბა მას. ამას უმთავრესად განაპირობებს წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებისა და წარმოების ორგანიზატორების (მეწარმეების) ეკონომიკური ძალაუფლება, აგრეთვე დოვლათის გადანაწილების ფაქტორები, რომლებიც მრავალია (ფასები, გაცვლის ეკვივალენტურობის დარღვევა, ეკონომიკური გარემო, სახელმწიფოს პოლიტიკა, კრიმინალური საქმიანობა და სხვა), რომელთა გავლენა დოვლათის განაწილებაზე დიდია. ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს დოვლათის განაწილების უსამართლობას თანამედროვე ეკონომიკური სისტემის პირობებში, მისი ნამატის დიდი ნაწილის მითვისებას ეკონომიკური ძალაუფლების მეშვეობით და უკანონო გზებით, ასევე საზოგადოებაში არსებული უწესრიგობრების შედეგად. ამის საფუძველზე არსებობს ზომაზე ბევრად მეტი, ხშირად უზარმაზარი ქონებრივი უთანასწორობა, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე და სიღარიბე მეორე პოლუსზე. ეს არის უსამართლობის უკიდურესი გამოვლენა თანამედროვე ცხოვრებაში, რაც ისტორილი მემკვიდრეობაა, მაგრამ აღშფოთებას იწვევს და საფრთხის შემცველია კაცობრიობისათვის.

გიორგი მალაშხია იმასაც ხედავს, რომ უმართებულოა მარქსიზნის შეხედულება, თითქოს მდიდართა ქონება (კაპიტალი) მთლიანად ხმარდება მფლობელთა კეთილდღეობას, ინტერესებს. სინამდვილეში მისი ნაწილი უბრუნდება საზოგადოებას გარკვეული ფუნქციებითა და ფორმით, გზებით - ინვესტირებით წარმოებაში და მის განვითარებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, საზოგადეობისათვის დოვლათის მიწოდებაში, შენატანებით ბიუჯეტში, გაწეული ქველმოქმედების სახით და სხვა. ყოველივე ეს სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს. ეს მაინც ვერ აუქმებს განაწილების უსამართლობას, რაც დაკავშირებულია პრივილეგირებული სუბიექტების მიერ, მათი უპირატესი მდგომარეობიდან გამონდინარე, მეტის მიღებასთან შექმნილი დოვლათიდან, ვიდრე ობიექტურად ეკუთვნით და აქედან დიდი ნაწილის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებასთან. ამავე დროს, ავტორი ხედავს მდიდართა მძიმე ტვირთსაც, რომლის თრევა მათ უძნელდებათ მით უფრო, რაც მეტია ეს სიმდიდრე.

მიმოქცევის სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ავტორის ახლებური ხედვა გამოიხატება საქონელგაცვლის, ფასწარმოქმნის საკითხებზე ორიგინალური კონცეფციით. მას არასწორად მიაჩნია გაცვლის ეკვივალენტურობის უკულებელყოფა. ეკვივალენტურობას თვლის გაცვლის კანონად, რომელიც, მართალია, ხშირად ირღვევა სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, მაგრამ მთლიანობაში აწესრიგებს საქონელგაცვლის პროცესს, რის გარეშე ეკონომიკაში სრული ქაოსი და ნგრევითი პროცესი დაისადგურებდა. ამ კანონის მოქნედების ძალით ხდება შესაძლებელი ფასების ტირანიის, ინფლაციის დაძლევა და წონაწორობის არსებობა ფაწარმოქმნის სფეროში.

ავტორი თეორიულ სიახლეთა შემოტანის აუცილებლობას ხედავს მოხმარების გარშემო, მას აუცილებლად მიაჩნია მოხმარების თეორიის სრულყოფა. იგი მოხმარების კულტურას განიხილავს საზოგადოების საერთო კულტურის ნაწილად. არ ეთანხმება მომხმარებლის სუვერენტეტის არსებულ გაგებას, რომ ის თითქოს ნიშნავს მომხმარებლის ყოველგვარი შეზღუდვისაგან გათავისუფლებას, ყოველგვარი მიზანშეწონილობის გვერდის ავლას მოხმარების პროცსში, მოთხოვბილებათა გონივრულობის იგნორირებას. არ ეთანხმება მომხმარებლის ქცევაში ეთიკური ნორმების, კულტურის იმპერატივების გაუთვალ-ისწინებლობას. ყოველივე ამის გარეშე მომხმარებელი იქცევა საგნების მონად, იძირება და არ ჩანს საგნებში, ნაცვლად იმისა, რომ იყოს სრულყოფილი სოციალური არსება. ავტორს შემოაქვს ზედმეტი, გონივრულზე გადაჭარბებული, მოხმარებისა და სამომხმარებლი დოვლათის დაგროვების ცნებები. იგი მიდის დასკვნამდე უქმი, უსარგებლო მოხმარებისა და უქმი ეკონომიკის - შესაბამისი დოვლათის შექმნისა და დაგროვების, გაცვლის არსებობის შესახებ. უქმი ეკონომიკა იჭერს საკმაოდ დიდ ადგილს საზოგადოების ცხოვრებაში, ხელს უშლის ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, მისი საბოლოო ეფექტიანობის, საერთო კეთილდღეობის ამაღლებას.

დამაჯერებელი არგუმენტებით ავტორი იძლევა თანამედროვე ეკონომიკის და მისი განვითარების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების ეკონომიკურ თეორიაში ახლებურად ასახვის მცდელობას.

გიორგი მალაშხია ამაზე არ ჩერდება და ისტორიული პროცესის ლოგიკის საფუძველზე ასაბუთებს ახალ ეკონომიკაზე და საზოდადოებრივ სისტემაზე გადავლის აუცილებლობას, ხედავს ცხოვრების სინამდვილეში ახალი ეკონომიკისა და საზოგადოების ჩანასახებსა და მათი გაფართოება-გაძლიერების ტენდენციას. იგი კაცობრიობის იდეალების, ობიქტური კანონზომიერების საფუძველზე გვთავაზობს არგუმენტირებულ წარმოდგენას მომავალი ეკონომიკისა და საზოგადოების შტრიხებზე. ისინი მკითხველს ნდობით გამსჭვალავს, რადგან ემყარება კაცო-

ბრიობის იდეალებს, მათი რეალიზებისათვის ისტორიის „მუშაობის" გაცნობიერებას, პროგნოზის მეცნიერულ მეთოდს, რაციონალური ფანტაზიის მოშველიებას. ახალი ეკონომიკა და საზოგადოება წარმოდგენილია არსებული ხარვეზების, სიმახინჯეთა გარეშე, მათგან თავისუფალი სახით, როგორც საყოველთაო ბედნიერების, კეთილდღეობის, ადამიანთა მაღალი ზნეობის, ნამდვილი სამართლიანობის, სრულოფილი დემოკრატიისა და თავისუფლების არე, საზოგადოებრივი სიმდიდრის სიუხვის შემქმნელი ეკონომიკით. წიგნის ავტორს სწამს, რომ ისტორიულ კანონზომიერებათა, ადამიანთა განვითარების მაღალი დონის ძალით, არსებულ სიმახინჯეთა დაძლევის საყოველთაო შეგნებით, სიბრძნის წყალობით, კატასტროფის საშიშროების დ მისი აცილების გაგებით კაცობრიობა წავა სწორედ პროგრესის გზით და არა თვითლიკვიდაციისაკენ, რაც სიკეთის გზის ალრეტნატივაა. ოპტიმისტი ავტორი ამთავრებს სიტყვებით, რაც აუცილებელია გავაცნობიეროთ ჩვენი არსებობის აზრის დასადასტურებლად; „მე მახარებს ნომავალი თაობების ბედი, რომლებიც იცხოვრებენ საყოველთაო ბედნიერების ხანაში! დე, ეს ხანა დადგეს რაც შეიძლება მალე!"

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ გიორგი მალაშხიას ამ წიგნის სახით მკითხველმა მიიღო საინტერესო, ეკონომიკისა და სოციალურ პრობლემბზე ფიქრისათვის ბიძგის მიმცემი ნაშრომი, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური აზროვნების პროგრესს.

პროფესორი ანზორ აბრალავა
პროფესორი ევგენი ბარათაშვილი
პროფესორი ვახტანგ დათაშვილი
პროფესორი პარმენ ლემონჯავა

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

2-3

(დამატება)

SOCIAL ECONOMICS

XXI CENTURY'S ACTUAL PROBLEMS

СОЦИАЛЬНАЯ ЭКОНОМИКА

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ XXI ВЕКА